საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№50 (6426) 25 აპრილი ხუთშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძმა ძმისთვისაო...

დიდი ხანი არც კია, რაც აგრომრეწვბანკში გახსნილია სამაჩაბლოს ლტოლვილთა ფონდი, რომლის ანგარიშის ნომერია 70025. რაიონის მშრომელებს სურთ თანაუგრძნონ და თანადგომა გამოუცხადონ თავის მშობლიურ მიწიდან იძულებით აყრილ ქართველებს.

ჯერჯერობით აღნიშნულ ანგარიშზე 900 მანეთია ჩარიცხული, შედარებით დიდი თანხა გადარიცხეს დამზადების გაერთიანების, აგროსამრეწველო გაერთიანების ავტოსატრანსპორტო საწარმოს შრომითმა კოლექტივმა და ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა.

ლტოლვილთა ფონდის ანგარიშზე თანხების გადარიცხვა გრძელდება. ისინი, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ერთიანობის იდეა, ვისაც ყველა ქართველი ძმად მიაჩნია და მისი ჭირი საკუთრად უჩანს, მცირე დანაზოგსაც არ იშურებენ ამ წმინდა საქმისათვის.

## თუ მშობლიური ქალაქი გვიყვარს...

გაზაფხულია, გულით გაზაფხული. ჩვენმა კოპწია ქალაქმაც ჩაიცვა მწვანე სამოსელი, ყვავილთ სურნელი დატრიალდა ირგვლივ.

მშვენიერია ცაგერი ბუნებრივი ლანდშაფტით, ლეჩხუმური კოლორიტით, მდებარეობით. მაგრამ ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე უნდა ვთქვათ, რომ ადამიანის ხელი ნამდვილად აკლია, ხელი მზრუნველი და გული თბილი, აკლია წესრიგი და სისუფთავე, კულტურა და იერ-სახე, ერთი სიტყვით, ისეთი რამ, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, და არა დიდ ფინანსებზე, ხარჯებზე, შრომაზე.

ბევრჯერ დაგვიწერია ქალაქის კეთილმოწყობაზე, იერ-სახეზე, სანიტარულ წესრიგზე, რეიდიც არა ერთგზის მოგვიწყვია, ბევრისთვის მწარედაც გადაგვიკრავს მათრახი, მაგრამ არა და არა, ქალაქი ვერ პასუხობს თავის მოთხოვნებს.

ავიღოთ ნებისმიერი ქუჩა. იგი უსუფთაოდ გამოიყურება, ულაზათოდ ერთადერთი ბაღი გადახნულ-გადათხრილია ღორებით, ასეთივე მდგომარეობაშია გაზონები, რაც ღორის დინგს გადურჩა, რა სარეველა ბალახი არ ხარობს, ადრე კი კოინდარი და ყვავილნარი ბიბინებდა. შევიხედოთ ბაზრის ტერიტორიაზე, მის წინ მოედანზე ტარა-მასალა თუ ათასგვარი ნაგავი მიმოფანტულია, აქ 40-ბინიანი საცხოვრებელი სახლის წინა პატარა მოედანზე ბავშვთა კარუსელები მუშაობდა, ახლა კი ტალახი და გაუვალი გუბეები დგას. ბაზრის ქვედა მხარეს მოსახლეობას პირდაპირ ცენტრალურ ქუჩაზე ჩაუმწკრივებია საქათმეები, რომლებიც გარდა იმისა, რომ „ამშვენებენ" ქუჩას, ამავ დროს „საუცხოო სურნელს აფრქვევენ".

ნაგავი სადაც გაგიხარდებათ, რომელ ქუჩა-კუნჭულში, უმოწყალოდ ყრია. ყუთები ან არ არის ყველგან, ან თუ არის, რად გინდა, ნაგავი ძირსაა მიმოფანტული.

დავწეროთ, მაგრამ ვინ მიიტანა გულთან, რომ ქალაქის დიეტური სასადილოს ეზოში, სადაც რამდენიმე დაწესებულებაა, ენით გამოუთქმელი ანტისანიტარიაა.

რომელ კულტურაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, როცა ქალაქში საერთოდ არა გვაქვს საზოგადოებრივი სარგებლობის ნორმალური ტუალეტი. მხოლოდ კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის მფლობელობაში არსებული ტუალეტი ემსახურება მთელ ქალაქს, გამვლელ-გამომვლელს.

არ იქნა და ვერ მოვიშალეთ სამშენებლო მასალებისა თუ ნარჩენების, შეშისა თუ სხვა მისთანების ქუჩის პირას დაყრა, არ დავაუშნოოთ ქუჩა და მიმდებარე ტერიტორია.

ქალაქი სავსეა პირუტყვით, ჩვენი ზოგიერთი ვაიქალაქელი იქამდეც კი მიდის, რომ გვიან ღამით შეგნებულად ერეკება საქონელს ქალაქში.

გაზაფხულია, ჰაერის ტემპერატურა დღითიდღე მატულობს. თავი დავანებოთ სილამაზეს და კულტურას, ეპიდემია გაჩნდება სიბინძურის გამო. კომუნალური სამსახური, თითოეული ორგანიზაცია თუ ოჯახი, თითოეული მოქალაქე უნდა ვგრძნობდეთ პასუხისმგებლობას ქალაქის წინაშე. დღეს უკვე არჩეულია საქალაქო საკრებულო. მისი 21 დეპუტატი დიდი ძალაა ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურში. მათ კეთილი უნდა ინებონ და მიხედონ თავიანთ ოლქებს, ქალაქის სატკივარს, არსებულ პრობლემებს. ნუ შევუქმნით სტუმარს ცუდ შთაბეჭდილებას. მოდით, ერთად ვიყოთ ქალაქის გალამაზების, გამშვენიერების, კეთილმოწყობის კეთილშობილურ საქმეში, გავხადოთ იგი სანიმუშო სისუფთავისა და წესრიგის ქალაქად.

გაზეთი კი თავის მხრივ პერიოდულად მოაწყობს რეიდებს, კონკრეტულად ისაუბრებს იმაზე, ვისაც არაფრად უღირს მშობლიური ქალაქის ღირსება და სახელი.

თუ გვიყვარს მშობლიური ლეჩხუმი და მისი ცენტრი, ჩვენი თვალსაწიერიდან, ჩვენი სამუშაო ობიექტიდან გამოვიხედოთ კრიტიკულად და ჩვენს თვალსა და გულს რომ ესიამოვნება, ისე გავაკეთოთ, ისე დავგავოთ, ისე გავამშვენიეროთ!

## გაზაფხულის რიტმი გვაჩქარებს

ახლა, გაზაფხულზე ეყრება საფუძველი წლის მოსავალს, როგორც არასდროს, ისეთი შრომა გვმართებს. თან შიმშილი გვიპყრობს, ხალხი შრომას, მიწასთან ურთიერთობას გადაეჩვია, არადა დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოში ვიწყებთ ცხოვრებას და ხელში შეგვრჩა ყოვლად გაუმართლებელი სიძვირე, ინფლაცია, გაპარტახებული

### იმედიანი განწყობით

ბაღ-ვენახები და ველ-მინდვრები.

სხვამ რომ არა, სწორედ ბაზრის უსაშველო ფასებმა, გაცლილმა მაღაზიებმა უნდა გამოგვაღვიძონოს ხელი, უნდა შემოაბრუნოს მიწისკენ ადამიანები. საკუთარ მეურნეობას აქამდეც არ ტოვებდა უპატრონოდ მშრომელი კაცი, მაგრამ ანაზღაურებას არ ელოდა და საზოგადოებრივ საკუთრებაში მყოფი მიწა რჩებოდა მოუვლელ-დაუმუშავებელი. სწორედ იჯარაა ჯერჯერობით ის ფორმა, რასაც შეუძლია ყოველ მტკაველ მიწას თავისი პატრონი გაუჩინოს.

მართალია, ხვნა-თესვაში ჩამორჩენამ ლამის განგაში აგვატეხვინოს, მაგრამ გული იმედიანი განწყობით აგვივსო ამას წინათ ლასურიაშის კოლმეურნეობის დეხვირის უბნის სახნავ-სათეს მინდვრებში ტრაქტორისტებთან შეხვედრამ, მინდვრებიო, ვამბობთ, თორემ ტრაქტორისტები ხნავდნენ და ისეთივე იყო მათი სოფელ ლესინდში გადასასვლელ თვალუწვდენელ ფერდობებს გულისტკივილი, როგორც ყველა, ჩვენი მთიანი ზონის მექანიზატორთა გულისტკივილია, — ვაკე ისევ წყლითაა გაჟღენთილი და ბოლოსათვის ვიტოვებთ, ფერდობზე, ცალმხრივ ხვნაზე საწვავი, ენერგია და, თუ გნებავთ დროც, ფუჭად გვეხარჯებაო.

მზე ახალი ამოწვერილი იყო, მაგრამ გელა ჭაბუკიანი და ელგუჯა ახვლედიანი ადრიანად გასულან სახნავად, გელა ჭაბუკიანს სინანული შევნიშნეთ — გვითხრა, ტრაქტორი მთელი ზამთარი მწყობრში მყავს, მაგრამ ჩვენთან ნიადაგი მძიმე, ნოყიერი და ისეთი შემადგენლობისაა, თუ არ გამოშრა, დამუშავება ძნელია, ამინდს რომ ხელი მოეცა, ახლა აქაურობა გადახნული გვექნებოდაო. ანაზღაურებაზე ვკითხეთ ტრაქტორისტს და მისმა პასუხმა — არ ვიცი, ფულზე ხომ არ დავიწყებ ლაპარაკს, მომცემენ რამეს, აბა, ტყუილად ხომ არ მამუშავებენო, ერთის მხრივ, გული სიამოვნებით აგვივსო, კოლმეურნეობის ტრაქტორისტებს მხარში ედგა აგრონომი ქორა ახვლედიანი, რომელმაც გვიამბო: სულ კოლმეურნეობაში 150 ჰექტარია დასახნავი და ჯერჯერობით მხოლოდ 6 ჰექტარია დახნული და ისიც აქ, დეხვირის უბანში გელა ჭაბუკიანისა და ელგუჯა ახვლედიანის მიერ. დამუშავების შემდეგ 140 ჰექტარი 300 ოჯახზე განაწილდება სამარცვლე სიმინდისათვის იჯარის წესით დასამუშავებლად, 10 ჰექტარზე კი სასილოსე სიმინდი უნდა დავთესოთ, აქედან დეხვირ-ლესინდის უბანში 30 ჰექტარია დასახნავ-დასათესი და ამ სოფლებში სულ 149 ოჯახია, 30 ჰექტარს მხოლოდ 80 ოჯახზე თუ გავანაწილებთ, რადგან დანარჩენი დაკეტილი და შრომისუნარმოკლებულთა ოჯახებიაო.

თუ იდარა, მექანიზატორები 4-5 დღეში მორჩებიან აქაურ სახნავს და შემდეგ კი ლასურიაშის ჭალაში გადმოინაცვლებენ.

— სულ კოლმეურნეობის სახნავ-სათესზე 5 ტრაქტორი იმუშავებს და დიდი მონდომება, საქმისადმი გულშემატკივრობა, თითოეული ხელსაყრელი დღის მაქსიმალური გამოყენებაა საჭირო, რომ ხვნა-თესვას აგროვადებში მოვრჩნენ.

ჯ. მანდარია.

## ქრონიკა

### მილიციიდან გვატყობინებენ

1991 წლის 3 აპრილს ქ. ცაგერის ტერიტორიაზე დაკავებული იქნა საკავშირო ძებნაში მყოფი ზ. ნ. ხეცურიანი.

1991 წლის 6 აპრილს შინაგან საქმეთა ცაგერის რაიგანყოფილებაში შემოვიდა შეტყობინება, რომ სოფ. ლაჯანიდან დაუდგენელი ბოროტმოქმედი პირების მიერ გატაცებული იქნა მოქალაქე აბაშიძის კუთვნილი ავტომანქანა.

გატარებული ღონისძიებების შედეგად დაკავებული იქნა ადრე 3—ჯერ ნასამართლევი ე. ვ. ახვლედიანი (სოფ. ლაცორიაში მცხოვრები) და არასრულწლოვანი ნ. გ. ლარცულიანი (სოფ. ლაცორიაში მცხოვრები). დამატებით გაიხსნა 1990 წ. მომხდარი 2 სისხლის სამართლის დანაშაული, მიმდინარეობს გამოძიება.

1991 წ. 8 აპრილს შს რაიგანყოფილების სამორიგეო ნაწილში ღამის დარაჯის აფაქიძის მიერ შემოვიდა შეტყობინება, რომ გატეხილი იქნა სოფ. ლასურიაშის მაღაზიის კარის მინა.

გატარებული ღონისძიებების შედეგად დადგენილია, რომ მინა ჩაამსხვრია გ. დ. ხეცურიანმა, რომელიც შემთხვევის დროს იყო არაფხიზელ მდგომარეობაში. მიმდინარეობს გამოძიება.

1991 წლის 19 აპრილს ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოდან გატაცებული იქნა მგზ—555 მარკის ავტომანქანა.

გატარებული ღონისძიებების შედეგად დადგენილ იქნა, რომ ავტომანქანა გაიტაცეს კახა გიზოს ძე გოლეთიანმა (მცხ. ცაგერის რაიონის სოფ. გვესოში) და მერაბ ელგუჯას ძე ქარსელაძემ (მცხ. ქ. ცაგერში რუსთაველის ქ. № 1.)

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

კვირის განმავლობაში შს ცაგერის რაიგანყოფილებაში წარმოდგენილი იქნა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი 4 მოქალაქე, რომელთა მიმართ გატარდა ადმინისტაციული ღონისძიება, 30 მოქალაქე გაფრთხილებული იქნა უმუშევრობისა და ქუჩაში უსაქმოდ დგომისათვის.

# ტრადიციათა აღორძინება—ჩვენი იმედი და მომავალი

დღეს ერთიანი, დამოუკიდებელი საქართველოს ზეიმია. თავისუფლება, სიხარული, ბედნიერება დააბიჯებს ქართულ მიწაზე, ძალუმად ძგერს თავისუფლებასდანატრებული ქართული გული. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ვიცით, სრული დამოუკიდებლობის საბოლოო მიჯნამდე დიდი და რთული გზაა გასავლელი—პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ნებისმიერი ასპექტის თვალსაზრისით.

ჩვენ უნდა შევძლოთ შევქმნათ დოვლათი, სიმდიდრე, ეკონომიკა, აღვადგინოთ ქართული ტრადიციები, დარგები, კულტურა, ლანდშაფტი, კოლორიტიც კი, რომელიც გავაუხეშეთ, გავაუცხოვეთ.

ბევრს ფიქრობს ამაზე რესპუბლიკის მთავრობა, უზენაესი საბჭოს შესაბამისი კომისიები, თითოეული ქართველი. მოზღვავდა საკეთებელ-საფიქრალი. ძლივსღა მოგვეცა საშუალება ხმამაღლა ვთქვათ სათქმელი, ვაკეთოთ ეროვნული, სტრატეგიული მნიშვნელობის საქმეები.

ამ დღეებში ჩვენს რაიონში სტუმრად იყვნენ რესპუბლიკის ბოტანიკის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკები ტარიელ ბერიშვილი და ლია ჩხაიძე.

მათი ჩამოსვლის მიზანია ლეჩხუმში აღდგეს ძველებური ენდემური ხორბლის ჯიშები მახა და ზანდური, რომელთა ძვირფასი თვისებები, ეკონომიკური, ეკოლოგიური მნიშვნელობა მეტ-ნაკლებად ცნობილია. სამწუხაროდ, დავკარგეთ ეს ჯიშები, მაგრამ არც არავის სტკივა ეს და არც არავინ ფიქრობს მათ აღდგენაზე.

ჩვენ შევხვდით ინსტიტუტის სპეციალისტებს, აი, რა თქვეს სტუმრებმა:

საქართველოში დღეს დიდი მითქმა-მოთქმაა—სხვა რომ არაფერი, პურს ვერ მოვიყვანთ და შიმშილით დავიხოცებითო დამოუკიდებლობის პირობებში. შიმშილი მაშინ იქნება, თუ მართლაც არ გავანძრევთ ხელს და სხვისი შემყურე ვიქნებით. საქართველო ხორბლის სამშობლოდ ითვლება. აქ 30-იან წლებში ხორბლის 15 სახეობა ითესებოდა დაახლოებით 450.000 ჰექტარზე, დღეს კი მხოლოდ 80.000 ჰექტარი ითესება. უბრალო ეკონომიკური გაანგარიშებით, თუ ჩვენ 300.000 ჰექტარამდე მაინც დავთესავთ პურს და საშუალოდ ჰექტარზე მინიმალურ მოსავალს—20 ცენტნერს მოვიწევთ, 100 კილოგრამზე მეტ პურს მივიღებთ ერთ სულ მოსახლეზე, ანუ თითქმის მთელი წლის სარჩოს. ასე, რომ დადგა დრო ვიფიქროთ ამაზე.

## ჩვენც გვექნება ჩვენი პური

**გიმდ. ნარეობს მუშაობა ხორბლის ლეჩხუმური ენდემური ჯიშების მახასა და ზანდურის გასამრავლებლად**

რაჭა-ლეჩხუმი ოდითგან იყო განთქმული მახა-ზანდურის მოყვანით. ეს ჯიშები განსაკუთრებულია. მარცვლის შემადგენლობა ძვირფასია (ცილებია დიდი რაოდენობით), მისგან მზადდება უმაღლესი ხარისხის ცომი. ზანდურის პური რომ გამოცხვებოდაო თონეში (ლეჩხუმური ნათქვამიც სტუმრებმა შეგვახსენეს) მთელი სოფელი გრძნობდა საიდან მოდიოდა მისი სურნელება.

ზანდური საგაზაფხულო კულტურაა, მახა კი საშემოდგომო და მოსავლის მიღების შემდეგ ნაპურალში სიმინდს თესავდნენ და იწევდნენ.

საგულისხმოა, რომ ხორბლის ეს ჯიშები არის ძალზე იმუნური, თითქმის არ ავადდება, არ საჭიროებს შხამქიმიკატებს, კარგ მოსავალს იძლევა მინერალური სასუქების გამოყენების გარეშე. ამიტომ მიღებული პური ეკოლოგიურად სუფთაა და ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

სხვათაშორის, ავსტრალიაში ხორბლის ახალი ჯიშების შექმნისას გამოიყენეს ზანდურის ენდემური ჯიში და მიიღეს საუკეთესო ჰიბრიდი, ჩვენთან კი გამოყენების მაგიერ მხოლოდ კოლექციებსა და მუზეუმებშია შემონახული ეს ძვირფასი კულტურები.

ზანდური ზაფხულში, ივლისაგვისტოში უკვე მწიფდება, აქვს ძალზე მჭიდრო თავთავი, მოსავლის აღება ხდება დაუგვიანებლივ, რომ არ ჩაიმტვრეს და დაიკარგოს.

ყველა ამ ღირსების ადრეულ წლებში ზოგიერთი სპეციალისტისა თუ მოყვარულის თავგადადებული პროპაგანდის მიუხედავად, მახა-ზანდურის მოყვანა არ იქნა და ვერ გასცდა სასკოლო საცდელი ნაკვეთების მოცულობას.

ლეჩხუმში არის საუკეთესო ფართობ-სავარგულები, სადაც ადრე ხორბლის ეს ჯიშები ითესებოდა, დღეს კი ტყე-კულტურებს უკავია, მაშინ, როცა ტყის მასივების გაშენება შეიძლებოდა და აუცილებელიცაა ეროზირებულ, ხრიოკ, მწირ ადგილებში.

მახა-ზანდური, უსახელოურის ვაზისა არ იყოს, მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმში მოჰყავთ ჩვენს რელიეფს, ჰავასა და მიწას ასე მორგებული.

დღეს უზენაესი საბჭო, მისი სოფლის მეურნეობის კომისია დაინტერესებულია საქართველოს ყოველ რეგიონში აღდგეს შესაბამისი ძველი დარგები, ტრადიციები, ენდემური ჯიშები, ლეჩხუმში პირველ ყოვლისა—მახა და ზანდური, რომლის მოვლა-მოყვანის გამოცდილება, საბედნიეროდ, ჯერ წარსულს არ ჩაბარებია. იგი იმდენი უნდა მოვიყვანოთ, რომ თავადაც მოვიხმაროთ და ნამეტი გავყიდოთ, გაიყიდება ვალუტაზე, როგორც უძვირფასესი პროდუქტი.

* * *

ინსტიტუტის წარმომადგენლებმა ჩამოიტანეს მახა-ზანდურის, დიკას, ქართული ხორბლის სხვა ჯიშების თესლეული.

ცაგერის კოლმეურნეობაში გვესოს ციხის მიდამოებში გამოიყო ტერიტორია და 300-400 კვადრატულ მეტრზე დაითესა კიდეც ზანდური. დაინტერესებულმა რამდენიმე პირმა საკარმიდამოში დასათესადაც წაიღო.

დიახ, დადგა დრო ვიფიქროთ, რომ ხვალ, ზეგ ჩვენ საკუთარი წარმოების პური პირველ რიგში და სხვა პროდუქტები უნდა შევქმნათ. ვიმეორებთ: მადლობა ღმერთს, რომ არიან ჩვენს გვერდით ადამიანები, რომლებიც იტყვიან: რა სიყვარულით, სიხარულით მოჰყავდათ პური ლეჩხუმში, როგორ ღელავდა ჯეჯილი, რა ბარაქა და იმედი იყო...

## ჩვენ და ბუნება

### მსხვერპლი

ჩვენს [illegible] წყობელი ქუჩის პირას, ახალგაზრდა, მსხმოიარე კაკლის ხე იდგა, ამშვენებდა მიდამოს, გამვლელს სასიამოვნო ჩრდილს სთავაზობდა უშურველად და დიდი სიცოცხლისათვის ემზადებოდა. მისი ცხოვრება საუკუნეს უნდა გადაწვდომოდა, მხრებში ლაღად გაშლილს ამაყად უნდა ეხმია ძლიერი, ქართა სრბოლაში დაკოჟრილი ტოტები და ნაყოფითაც უხვად გამასპინძლებოდა ყველას. მაგრამ „კაცი ბჭობდაო".—უთქვამს მოხდენილად გონიერ ქართველ კაცს. ასეც მოხდა, გავიდა ხამი წელი და . პატარა კაკლის ხის მახლობლად რომან გვიდიანმა დაიდო ბინა. მოსალოდნელი უბედურება ვერავინ განჭვრიტა წინასწარ. საცოდავი კაკალი 4,5 მეტრის მოშორებით აღმოჩნდა ბოროტი კაცის საზღვრიდან. ავი თვალი დაადგა ბოროტმა ნერგს, მაგრამ სანამ წამოიზრდებოდა და მსხმოიარე გახდებოდა, არაფერს ამბობდა, ბოღმას გულში იმარხავდა.

გამოხდა ხანი და დრო იხელთა ბოროტმა, როცა გაზაფხული დადგა და კაკლის ხემ ყვავილები გამოიღო, ბოროტმა კაცმა მისი მოჭრა გადაწყვიტა. ბევრი სთხოვეს,—პატარაა, შეიბრალე არაფერს დაგიშავებს, შენი ეზოს ჩრდილოეთით დგას, რა ზიანი უნდა მიგაყენოსო, მაგრამ ამაოდ, შეაყარე კედელს ცერცვი. გამოუგონა შარები, როგორც მგელმა კრავს, და დღე შეუმოკლა საბრალო კაკლის ხეს. კიდევ ერთი პატარა შვილი მოუკლა უმადურთა მიერ დასახიჩრებულ დედა ბუნებას ადამიანის სამოსელში გამოწყობილმა მხეცმა.

პატარა კაკლის ხის ხვედრი, სხვა ნერგებმაც რომ არ გაიზიარონ, ასეთი უგულო ადამიანების წინააღმდეგ პრინციპულად უნდა აიმაღლოს ხმა შესაბამისმა ინსპექციამ და გულში დაჭრილი ბუნების ყველა ქომაგმა.

ო. ჭაბუკიანი.

# აკაკი: მემკვიდრეობა

1859 წლის თებერვალში აკაკის მამამ როსტომ წერეთელმა შემდეგი შინაარსის განცხადება შეიტანა ქუთაისის გუბერნიის სასწავლებელთა დირექტორის სახელზე: „მის მაღალ კეთილშობილებას ქუთაისისა და ერევნის გუბერნიების სასწავლებლების დირექტორს, სტატსკი სოვეტნიკსა და კავალერს ივანე ლეონტის ძე პესოჩინსკის, თავად როსტომ წერეთლის თხოვნა:

მინდა, რომ ჩემი შვილი აკაკი წერეთელი დათხოვნილ იქნეს გიმნაზიიდან. უმორჩილესად გთხოვთ თქვენს კეთილშობილებას, უბოძოთ მას შესაფერისი მოწმობა სწავლისა და ყოფაქცევის შესახებ და მიბოძოთ ის დოკუმენტები, რომლებიც წარმოვადგინე ჩემი შვილის სკოლაში განწესების დროს.

თავადი როსტომ წერეთელი. თებერვალი 7. 1859".

აკაკის მამის თხოვნა დააკმაყოფილეს და მომავალ პოეტს 10 თებერვალს ხელზე მისცეს ცნობა იმის შესახებ, რომ იგი ამა და ამ წლებში სწავლობდა ქუთაისის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში. ჰქონდა ყოფაქცევაში ფრიადი და სხვა სასწავლო საგნებში მაღალი აკადემიური მაჩვენებლები, მაგრამ მან ვერ დაასრულა სასწავლებელი, ამიტომ ვერ ისარგებლებს იმ შეღავათებით, რომლებიც ეკუთვნის გიმნაზია და სამამრო-სასწავლებელდამთავრებულებს.

ამის შემდეგ აკაკიმ მარტი და აპრილი სოფელში გაატარა, მაისში კი 19 წლის ჭაბუკი შორეული რუსეთის გზას გაუდგა და ჩაირიცხა პეტერბურგის საიმპერიო უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელად, მეცადინეობა ბეჯითად დაიწყო. დაეწაფა ლიტერატურას. ასე რომ. სულ მოკლე ხანში ლექტორმასწავლებელთა დიდი სიყვარული დაიმსახურა, მაგრამ, როგორც ირკვევა, აკაკი კურსიდან კურსზე გადასაყვან გამოცდებს არ აბარებდა, რადგან უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად ითვლებოდა. მაშინ უნივერსიტეტში იყო მხოლოდ ორი ფაკულტეტი—ფილოსოფიური და იურიდიული, შესაბამისი განყოფილებებითა და განხრებით. 1863 წელს ქართული და სომხური ენის კათედრები გააერთიანეს. კათედრას სათავეში ჩაუდგა დ. ჩუბინაშვილი—პირველი ქართველი პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტში.

აკაკი დედისადმი გაგზავნილ ბარათებში ხშირად იწერება, უნივერსიტეტში როგორ სწავლობდა, რით იყო გატაცებული, რა იზიდავდა, როგორ ბეჯითად მეცადინეობდა ქართულ, ფრანგულ, თათრულ, სომხურ და თურქულ ენებში.. თითოეული წუთი გაანგარიშებული ჰქონდა და უქმად წამს არ კარგავდა, დაუახლოვდა პეტერბურგში მყოფ ქართველ სტუდენტებს (მაშინ 30-მდე სწავლობდა: ნ. ნიკოლაძე, ი. ჭავჭავაძე, დ. აბდუშელიშვილი, კირილე ლორთქიფანიძე, ბ. ღოღობერიძე, ნ. ნიკოლაძე, კ. აბხაზი, გ. წერეთელი და სხვ.).

გაზეთ „საქართველოში" (1916, №19) მოთავსებულია წერილი, საიდანაც ვიგებთ, რომ 1862 წლის 31 მარტს აკაკის ჩაუბარებია უნივერსიტეტში უკანასკნელი გამოცდა და მოუპოვებია უფლება საკანდიდატო დისერტაციის წარდგინებისა. აკაკის მართლაც წარუდგენია „ვეფხისტყაოსნის" ორიგინალობის საკითხებზე საკანდიდატო თხზულება, რომელშიც განვითარებული აზრები შემდეგ უფრო ვრცლად და ღრმად მოგვცა ლექციებში „ვეფხისტყაოსნის" შესახებ.

აკაკის საკანდიდატო დისერტაცია, დაწერილი რუსულ ენაზე, ასე იყო ფორმირებული: „რამდენიმე სიტყვა „ვეფხისტყაოსნის" ორიგინალობის დასაცავად". ცერემონია შედგა 1862 წელს, 19 დეკემბერს. მეცნიერი ხელმძღვანელი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის გამგე პროფ. დავით ჩუბინაშვილი, რომელსაც დაუწერია ამ ნაშრომზე სათანადო რეცენზიაც — „ეს საკანდიდატო დისერტაცია დაწერილია დამაკმაყოფილებლად" (დ. ჩუბინაშვილი). ხოლო 1863 წლის 17 იანვარს აკაკის დისერტაცია განიხილა ფაკულტეტის საბჭომ და მოიწონა იგი. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აკაკიმ კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი ვერ მიიღო, რადგან მომავალ პოეტს არ ჰქონდა დამთავრებული გიმნაზიის სრული კურსი. ამას გადმოგვცემს ს. გორგაძე, იმოწმებს რა აკაკის სკოლისა და უნივერსიტეტის მეგობარს კირილე ლორთქიფანიძეს —მე-19 საუკუნის ქართველი მწერლების ამ მემატიანეს.

## პოეტის

თითქმის მთელი საუკუნე აკაკის დისერტაციის მხოლოდ სათაური ვიცოდით. თვით დისერტაციას ვერ მიაკვლიეს, საბედნიეროდ, იგი აღმოაჩინეს ქართველმა მკვლევარებმა ალ. ღლონტმა და ან. აბრამიშვილმა ლენინგრადის არქივსაცავებში და კიდეც გამოაქვეყნეს რუსული ტექსტი ქართული თარგმანითა და სათანადო კომენტარებით 1956 წლის ოქტომბერში.

აკაკის მიერ საკანდიდატო დისერტაციის თემად „ვეფხისტყაოსნის" აღება მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან მისი ავტობიოგრაფიული ნაწარმოებებიდან ვიცით, რომ იგი ფანატიკურად იყო შეყვარებული რუსთაველსა და მის პოემაზე. მას მომავალი პოეტი თვლიდა ქართველი ხალხის მეორე

# სკოლამდელი აღზრდა: პრობლემები, სატკივარი

## ახალი კონცეფციით

დიდია სკოლამდელი დაწესებულებების მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში, როდესაც ქალი-დედა აქტიურად არის ჩაბმული ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ცხოვრება თავისთავად წარმოქმნის პრობლემებს. დღევანდელი დღე თავისი პოლიტიკური ვითარებით, ეკონომიკური ბლოკადით და რაც მთავარია ეროვნული სულის აღორძინებით, უშუალო კავშირშია განათლების სისტემის მუშაკებთან, რამეთუ, როგორც იაკობ გოგებაშვილი ბრძანებდა, აღზრდა-განათლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად გარემომცველი სინამდვილის შეცნობა ითვლება.

საბავშვო ბაღი ორიენტირებულია ისეთი თვისებების აღზრდაზე, რომლებიც ინტენსიურად და წარმატებით ვითარდებიან მოცემულ ასაკში, ხოლო შემდგომ გავლენას ახდენენ ადამიანის მრავალმხრივი განვითარების მთელ მიმდინარეობაზე. ამის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა პედაგოგიური პროცესის ჰუმანიზაცია, რაც ითვალისწინებს თითოეული აღსაზრდელის პიროვნულ განუმეორებადობას, ქმნის ოპტიმალურ პირობებს მათი ნიჭისა და უნარის გამოვლენა-განვითარებისათვის, ფსიქიკური და ფიზიკური სრულყოფისათვის.

აქედან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა ენიჭება თუ როგორი კადრებით იქნება დაკომპლექტებული სკოლამდელი დაწესებულებები, როგორი იქნება პედაგოგთა სამუშაო პირობები. შეიძლება ითქვას, რომ რაიონის სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგიური შემადგენლობა დამაკმაყოფილებელია. აღნიშნული დაწესებულებები აღჭურვილია თვალსაჩინო დიდაქტიკური და სასწავლო ტექნიკური საშუალებებით.

თუ გადავხედავთ საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების მატერიალურ-ტექნიკურ მდგომარეობას, დავინახავთ, რომ ამ კუთხით მათთან მრავალ პრობლემას მოუყრია თავი. რაიონის 15 სკოლამდელი დაწესებულებიდან არცერთის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ არის დამაკმაყოფილებელი.

დღევანდელი ეკონომიკის პირობებში თითქოს უხერხულიც არის ილაპარაკო სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკების ხელფასის მომატებაზე, რემონტსა და სამშენებლო მასალებზე, მაგრამ საქმე ეხება იმას, თუ რა გარემოში უხდება მთელი დღეების განმავლობაში მცირეწლოვან აღსაზრდელს ყოფნა.

ათი წლის მანძილზე არ შეცვლილა №1 საბავშვო ბაღის შიდა წყალგაყვანილობა და სანტექნიკა. გაუვარგისებულია პირველი სართულის საწოლი ოთახების იატაკი. ქალაქის ცენტრალური გათბობის უმოქმედობის გამო მხოლოდ თუნუქის ღუმელის იმედზე არიან მთელი ზამთრის განმავლობაში ნორჩები. ამორტიზებულია და კაპიტალურ რემონტს საჭიროებს №2 საბავშვო ბაგა-ბაღის ცენტრალური გათბობის სისტემა. არ აქვთ ეზოს შემოსარაგვი მასალა. ექსპლოატაციაში გასვლის დღიდან უმოქმედოა ქვ. ცაგერის საბავშვო ბაგა-ბაღის ცენტრალური გათბობა. წყვეტილობაა გამდინარე ცივი წყლის მიწოდების საქმეში. არ იქნა და არ დაადგა საშველი სოფელ ლასურიაშის საბავშვო ბაღში გამდინარე ცივი წყლის შეყვანას. ყოვლად შეუფერებელ ბინაშია მოთავსებული ლაჯანის მრავალრიცხოვანი საბავშვო ბაგა-ბაღი, რომლის აღსაზრდელებს არა თუ სათამაშო, არამედ ოდნავი სამოძრაო ფართიც კი არ აქვთ.

რაიონის სკოლამდელი დაწესებულებების საერთო პრობლემას შეადგენს - მათი სათამაშოებითა და ინვენტარით მომარაგების საკითხი, აგრეთვე უპირთ ჭურჭლის (თეფშების, ლამბაქების, ფინჯნების) შეძენა. ძნელია 200, თუნდაც 1000 მანეთის ინვენტარის მოსატანად იქირაო ავტომანქანა, ჩახვიდე ლილოს ბაზაში და იქიდან ხელცარიელი ჩამოხვიდე. აღნიშნული დაწესებულებების მუშაკებს დასახელებული საგნების ადგილზე შეძენა უჭირთ, რადგან სავაჭრო ორგანიზაციები დაგეგმილი არ არიან მათ მომსახურებაზე.

წლების განმავლობაში მოითხოვენ განათლების სისტემის მუშაკები, რომ დასავლეთ საქართველოს რაიონებისათვის შექმნილიყო ქალაქ ქუთაისში შესაბამისი ბაზა ინვენტარის შესაძენად. მოთხოვნა ყურად არავინ იღო.

დღეს, როდესაც სკოლამდელმა დაწესებულებებმა უნდა იმუშაონ საქართველოს სკოლამდელი აღზრდის კონცეფციით, რომელიც ითვალისწინებს აღსაზრდელებში ეროვნული ცნობიერების საწყისების ჩამოყალიბებას და სამშობლოს სიყვარულის ჩანერგვას, რაც ჭეშმარიტი მამულიშვილის, მაღალზნეობრივი, ჰუმანური პიროვნების აღზრდის საფუძველია, როდესაც მეტი ყურადღება აქვს დათმობილი სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას და როდესაც გაიზარდა მშობელთა შემონატანების ღირებულება, რაც მშობელს მეტ უფლებას აძლევს, რათა კრიტიკული თვალით შეხედოს აღნიშნული დაწესებულებების საქმიანობას, ვფიქრობთ, საჭიროა მოწოდებულმა ორგანიზაციებმა კომპლექსურად იზრუნონ, რათა რაც შეიძლება ნაკლები იქნას ამ პრობლემათა რიცხვი, რომლებიც უშუალოდ სასწავლო-აღმზრდელობით და პედაგოგიურ მიღწევათა პრაქტიკულად განზოგადება-დანერგვასთან არ იქნება დაკავშირებული.

ჯ. ბურჯანაძე,

განათლების განყოფილების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მეთოდისტი.

# ქართული გენის ნაწილი

ასრულდა ქართველი ხალხის ოცნება—ღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, უზენაესი საბჭოს ამ გადაწყვეტილებით საქართველომ დაიწყო ახალი ცხოვრება, რომელიც ბევრ სიძნელეებთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ ვერავითარი დაბრკოლება ამ სწრაფვას ვერ შეაჩერებს.

ქართული სპორტი გენის განუყოფელი ნაწილია, საქართველო დიდი პოტენციალის მქონე სპორტული ქვეყანაა და დღეიდან ის ეროვნულ სამსახურში დგება, ამიერიდან ჩვენ აღარ გვექნება უფლება სხვისი კარნახით, სხვისი დროშით და სხვისი მისეულით გვიდგეთ სპორტულ სარბიელზე, ამიერიდან წყდება ყოველგვარი კავშირი „ცენტრთან".

სპორტის დეპარტამენტში გამართულ თათბირზე ითქვა, რომ მუშავდება ახალი სპორტული კალენდარი, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სპორტული თამაშების ჩატარებას, რომელიც პირველად გაიმართება რესპუბლიკაში, ეს თამაშები გამოცხადდება ღია თამაშებად.

როგორ შეხვდებიან ამ ახალ ღონისძიებებს ჩვენი რაიონის სპორტული კოლექტივები, ექნებათ თუ არა საშუალება ცოტათი მაინც შეუწყონ ხელი საქართველოს სპორტულ წარმატებას—მხედველობაში მაქვს ჩვენი სპორტსმენების პროცენტული მონაწილეობა საქართველოს ნაკრებ გუნდებში. თუ გულახდილად ვიტყვით, ჯერჯერობით არავითარი პირობა არ არსებობს ამისათვის, იმიტომ, რომ ის პირობები, რაც სპორტულ მუშაობას უკეთ წარმართავს და კარგი სპორტსმენების აღზრდას სჭირდება, ჩვენთან არ არის. ძალზე ცუდად დგას კადრებით უზრუნველყოფის საქმე. არცერთი სპორტის ოსტატი ან ოსტატობის კანდიდატი არ ჰყავს რაიონს, რომელიც სათავეში ჩაუდგება ამა თუ იმ სახის სპორტს. ის, ვინც გვყავს, [illegible] დამთავრებულები ან პედაგოგიურ ინსტიტუტდამთავრებული [illegible] მელთა მუშაობა და მომზადება საკმარისი არ არის მაღალკვალიფიციური სპორტსმენების აღსაზრდელად. ამას ემატება ისიც, რომ ძალზე უხარისხო და მცირე რაოდენობით გვაქვს სპორტული ბაზები, თუნდაც ის, რომ რაიონს ერთი სპორტული დარბაზი აქვს და ისიც დანგრევაზეა (ჩამოდის წვიმა, ჩამოყრილია ბათქაში, დანგრეულია იატაკი და სხვა), მიუთითებს რომ სპორტისათვის ზრუნვა და დახმარება ნაკლებია, იყო დაპირებები, მაგრამ ფაქტიურად არაფერი გაკეთებულა, ასე იყო აქამდე.

რაიონში არ არის არცერთი მოქმედი საცურაო აუზი და სასროლი ტირი, რესპუბლიკური კომპლექსური ღონისძიებები კი ითვალისწინებენ შეჯიბრებას ცურვასა და სროლაში. ამ გაჭირვებას დაემატა სპორტული ინვენტარის უქონლობა. ის, რაც არის, საოცრად ძვირი ღირს, ხოლო ბიუჯეტიდან ინვენტარის თანხები სულ ამოიღეს, რა ქნან სკოლებმა და სხვა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა?

გადაუდებელ საჭიროებად მიმაჩნია, გააქტიურდეს სპორტული ორგანიზაციებისადმი დახმარება, აუცილებლად უნდა გამოიძებნოს საშუალება, რათა რაიონის სპორტდარბაზს ჩაუტარდეს კაპიტალური რემონტი, გამოიყენონ თანხები სკოლებისთვის სპორტული ინვენტარის შესაძენად. მომდევნო წლებისთვის კი რაიონის ცენტრში მაინც დაიგეგმოს საცურაო აუზისა და სასროლი ტირის მშენებლობა. აუცილებელია ფიზიკური აღზრდის საკითხი, სპორტის მასობრიობა, ოსტატ სპორტსმენთა მომზადება ვაქციოთ ეროვნულ საქმედ.

ვ. მუშკუდიანი.

სპორტული სკოლის დირექტორი.

# დისერტაცია

ბიბლიად. „ვეფხისტყაოსანი" სახარებაზე უფრო გაუტკბა ქვეყანასაო", წერდა იგი. ეს ნათლად ჩანს, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, „ჩემი თავგადასავლიდანაც".

თემა აკაკის, როგორც ანალიზი გვიჩვენებს, კეთილსინდისიერად დაუმუშავებია. დისერტანტი იცნობს სპეციალურ ლიტერატურას, ყველაზე კარგად კი—თვით პოემის ტექსტს. პოლემიკას აწარმოებს მეცნიერული რუსთველოლოგიის ფუძემდებელთან—ვახტანგ მეექვსესთან. აგრეთვე ანტონ პირველთან.

აკაკის გულში რუსთაველისადმი სიყვარული სიყრმიდანვე გაღვივდა, შემდეგ კი მუდმივი შთაგონების წყაროდ გადაიქცა. იშვიათად იპოვით აკაკის ნაწარმოებებს (ლექსი, პოემა, დრამა, კრიტიკულ-პუბლიცისტური სტატიები), რომლებშიც რუსთველურული სტრიქონები, უკვდავი აფორიზმები მარგალიტებივით არ თინათინობდნენ. ბევრჯერ უთქვია რუსთაველს აკაკის გულში ჭეშმარიტი პოეზიის ცეცხლი, მრავალჯერ შეუცვლია თავისი თავდაპირველი გადაწყვეტილება შოთას აფორიზმების ზეგავლენით. სწორედ ამიტომ იყო, რომ მან თავი ტარიელად წარმოიდგინა შემდეგში და ავთანდილისა და ფრიდონის დახმარებით ქაჯეთის ციხიდან სატრფოს (საქართველოს) განთავისუფლებაც კი განიზრახა.

აკაკიმ სწორად განჭვრიტა „ვეფხისტყაოსნის" საკაცობრიო მნიშვნელობა. პოეტი ახასიათებს პოემის გმირებს და უჩვენებს, რამდენად მკვეთრად არის მათში მოცემული ქართული ხასიათი და ცხოვრება. დისერტანტმა იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ რუსთაველთან ყველა ქალი ემანსიპირებულია. ეს ავტორის გამონაგონი კი არ არის, არამედ აღებულია ქართული ცხოვრების სინამდვილიდან. საქართველოში ქალები ყოველთვის იყვნენ მამაკაცებზე განათლებულებიო. ამით ისინი მამაკაცებზე მაღლა იდგნენ. საგულისხმოა, რომ ამ დისერტაციის წარმოდგენიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ აკაკი წერდა: „ჩვენში, როგორც ერისთავის, ისე ცალქალაშანიძის ქალებიც, ყველა ერთგვარად თინათინესტანებად არიან გაჩენილი, მაგრამ დრო აუკუღმართებთ და აფატმანებთო".

„თუ პოემა სპარსულიდან ნათარგმანია,—წერდა აკაკი,—როგორც ავტორი ამბობს,—მაშინ როგორ მოხდა, რომ მასში ასახულია ქართული ცხოვრება? ასეთია, მაგ., აღწერა ნადიმებისა, სხვადასხვა ადათ-წესებისა, ადამიანთა ხასიათებისა და სხვ. ხოლო განსაკუთრებით სპარსეთში, მუსლიმანურ სახელმწიფოში განა ქალებს შეეძლოთ ასეთი თავისუფლებით ესარგებლათ? ეჭვს გარეშეა, რომ ეს პოემა, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს, როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფესორი ჩუბინაშვილი, ორიგინალური ნაწარმოებია".

აი, მთავარი დასკვნა, რომელსაც აკაკი აკეთებს თავის საკანდიდატო დისერტაციაში. ეს აზრი, გამოთქმული რუსთველოლოგიაში ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, ახლაც გაზიარებულია და მის საყოველთაო აღიარებაში აკაკის ავტორიტეტმაც შეიტანა თავისი მოკრძალებული წვლილი.

აკაკი წერეთლის საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, რომელიც ჩვენ აქ მოკლედ განვიხილეთ, მეცნიერული რუსთველოლოგიის შენაძენია. იგი 29 გვერდს შეიცავს და შიგადაშიგ ციტატები (პოემის სტროფები) ქართულადაა. სულხანათი მგოსანი შემდეგში კ დევ დაუბრუნდა ამ საკითხს, განაგრძო კვლევა-ძიება და მთლიანი, ვრცელი სახით წარუდგინა მკითხველ საზოგადოებას ლექციებში პოემის შესახებ. სწორედ აქაა პირველად (1881 წ. 16 აპრილი) აკაკის შემოქმედებაში საქართველოს შედარება ჩანგურსა და მის სიმებთან (ტ. 12, გვ. 98), ოცი წლის შემდეგ კი „ნათელას სიმღერაში" აჟღერდა „ჩანგურს სიმები გავუბი".

აკაკის მთელი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მისი შემოქმედების ერთ-ერთ მასაზრდოებელ წყაროს წარმოადგენდა შოთას პოემა, ისიც ცნობილია, რომ აკაკი გახლდათ 1888 წელს პოემის ქართველიშვილისეული გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი. ყოველივე ამას ერთგვარ გვირგვინს წარმოადგენს აკაკის სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე"... ჩვენ განზრახ გვერდს ვუვლით საკითხს იმის შესახებ, თუ რა სახის დავას ჰქონდა ადგილი ამასთან დაკავშირებით ილიასა და აკაკის შორის, რადგან ეს სპეციალურ ლიტერატურაში კარგად არის გარკვეული.

ერთი სიტყვით, აკაკის სიჭაბუკისდროინდელი სადისერტაციო ნაშრომი დღესაც გვხიბლავს თავისი ღრმა შინაარსით და შორს გამიზნული მეცნიერული დასკვნებით. ეს აზრები, ოდნავი ცვლილებებით, გაზიარებულია რუსთველოლოგიაში და, ვფიქრობთ, მომავალშიც არ დაკარგავს შემეცნებით—საგანმანათლებლო და აღმზრდელობით მნიშვნელობას. რაც მთავარია, აკაკიმ ამ დისერტაციით" პოემის შინაარსი ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას დაუკავშირა და ამით ლახვარი ჩასცა ზოგიერთ უგვარტომო კოსმოპოლიტს, რომლებიც ქართველი ხალხის უკვდავ საუნჯეს სხვა ხალხების გონების ნაყოფად თვლიდნენ" (კ. მეძველია).

პროფესორი

რაფიელ შამელაშვილი.

## ქვედა ცაგერის არასრულ საშუალო სკოლაში

# „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“

აპრილის ჩვეულებრივი დღეა.. არაჩვეულებრივი ბავშვების განწყობილებაა მხოლოდ. სასოფლო კლუბის დარბაზი კოხტად გაწყობილი თეთრი. ქათქათა საუფრებითაა დამშვენებული.

ჩაბნელებულ დარბაზში ათრთოლდა სანთლების მოცახცახე შუქი და მავედრებელი ჩურჩულით აღვლინდა ლოცვა „მამაო ჩვენო“.

შუქი ინთება და იწყება პენსიონერ მასწავლებლებთან შეხვედრა. პატარებს სითბოთი ავსილი თვალები მიუპყრიათ საყვარელი, თმაჭაღარა აღმზრდელებისთვის და ლოცვასავით ეჩურჩულებიან მათთვის განკუთვნილ სტრიქონებს თმაშევერცხლილ, დამსახურებულ პედაგოგებს: რუბენ ბაქრაძეს, ჟენია ხეცურიანს, ნორა გასვიანს, ლილი ლარცულიანს, კარლო ასლანიკაშვილს, სკოლის დირექტორს დავით კოპალიანს.

ერთმანეთს ცვლის პატარების წკრიალა და მასწავლებლების დინჯი ხმები.

სკოლის დირექტორი დ. კოპალიანი კიდევ ერთხელ ახსენებს ლონისძიების მონაწილეებს, რომ ეს საღამო არის პროტესტი საქართველოს მტრების წინააღმდეგ. ბატონმა დავითმა ლონისძიების ყველა მონაწილის სახელით მადლობა უთხრა მასობრივი მუშაობის ორგანიზატორს მაყვალა კოპალიანს, რომელიც ამ ლამაზი შინაარსიანი საღამოს ჩამფიქრებელი, მომზადებელი და უშუალო მონაწილეც იყო.

ისევ ათრთოლდა სანთლის შუქი და ლოცვამ ჟრუანტელივით აავსო ყვავილებსა და მუსიკის ჰანგში ჩაფლული დარბაზი..

სტუმრები დაიშალნენ, მაგრამ დარბაზში არ შეწყვეტილა პატარების ჟრიამული.

* * *

პატარები თავდახრილი დროშებით, სევდაჩამდგარი თვალებით გაუყვნენ გზას ქალაქ ცაგერის ცენტრისაკენ, 9 აპრილს დაღუპულთა სიმბოლური საფლავისკენ.

ყვავილებით იმკობა საფლავი, ანთებენ სანთლებს.. მოსწავლეები სულისშემძვრელი ლექსებით ეხმიანებიან დაღუპულთა სულებს, უსმენ და გჯერა, რომ უკვდავებაშია ბედნიერება, რომ „მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს“.

**ნუნუ კოპალიანი,**
ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

## სპორტი

### მკლავჭიდი

18 აპრილს სპორტდარბაზში გაიმართა რაიონის ჩემპიონატი მკლავჭიდში, რომელიც მიზნად ისახავდა ახლად დანერგილი სპორტის ამ სახეობის შემდგომ განვითარებას და პოპულარიზაციას. მას უნდა გამოევლინა წონითი კატეგორიების მიხედვით რაიონის უძლიერესი მკლავჭიდელები.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო სულ 20-ზე მეტმა ახალგაზრდამ. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები მოიპოვეს:

**გიზო ვახტანგის ძე კალანდაძემ** (90 კილოგრამამდე წონითი კატეგორია) ქ. ცაგერი.

**ზაალ მიხეილის ძე ყურაშვილმა** (85 კილოგრამამდე წონითი კატეგორია), ქ. ცაგერი.

**ავთო ბუჟუს ძე ვაწაძემ** (80 კილოგრამამდე წონითი კატეგორია), სოფელი დეხვირი.

**გოჩა გურამის ძე ფრუიძემ** (68 კილოგრამამდე წონითი კატეგორია), სოფელი ნასპერი.

**გია ჟორას ძე ფრუიძემ** (59 კილოგრამამდე წონითი კატეგორია), სოფელი წიფერჩი.

გამარჯვებულები მონაწილეობას მიიღებენ 27—28 აპრილს მკლავჭიდში საქართველოს ჩემპიონატში, რომელიც გაიმართება ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. ქართველ მკლავჭიდელებთან ერთად შეჯიბრებაში მონაწილეობენ უცხოეთის 6 ქვეყნის წარმომადგენლები.

წარმატება ვუსურვოთ ჩვენს სპორტსმენებს.

**ა. კოპალიანი.**

### ფრენბურთი

ცაგერის სპორტულ დარბაზში 19 აპრილს ჩატარდა რაიონის სკოლების პირველობა გოგონათა შორის ფრენბურთში. შეჯიბრება ერთდროულად მიმდინარეობდა ალპანისა და ცაგერის ზონებში. მისასალმებელია, რომ წელს კარგი მომზადებული მოვიდნენ გოგონათა გუნდები.

ცაგერის ზონაში ყველა შეხვედრა წაუგებლად ჩაატარა და პირველი ადგილი მოიპოვა ცაგერის საშუალო სკოლის გოგონათა გუნდმა, ერთი წაგებით მეორე ადგილზე გამოვიდა ლასურიაშის საშუალო სკოლის გოგონათა გუნდი, ხოლო მესამე ადგილზეა ბარდნალის საშუალო სკოლა.

ალპანის ზონაში პირველ ადგილზე გამოვიდა ტვიშის საშუალო სკოლა, მეორეზეა ლაჯანის სკოლა-ინტერნატი, ხოლო მესამე ადგილი წილად ხვდა ალპანის საშუალო სკოლას.

სპორტის მოყვარულებს და სპორტსმენებს შევახსენებთ, რომ სპარტაკიადის პროგრამით დარჩენილია კალათბურთი ვაჟთა გუნდებისათვის და ფეხბურთი, ასევე ჩასატარებელია ზონებში გამარჯვებულთა ფინალები.

სპარტაკიადა გრძელდება.

**ჯ. შკუბულიანი.**

## გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

**მეგი სვანიძეს**
**გოგიტა ახვლედიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. სიხარული და სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი. შვილთა სიმრავლეს დაემშვენებინოს თქვენი ოჯახი.

**ვარლამი, გოგი, თემური, თამაზი, ზაური ოჯახებით.**

---

**ლალი ავთანდილის ასულ სვანიძეს**
**დათო შიოს ძე ლაჭყეპიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. ბედნიერ ბედის ვარსკვლავს ეწინამძღვროს თქვენი ცხოვრებისათვის.

**თამილა, ვიოლა, ვასიკო, ბექა ლაჭყეპიანები.**

---

**ლამზირა ვაჟას ასულ ახვლედიანს**
**თემურ აბესალომის ძე ცხვედიანს**

გილოცავთ თქვენს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერ დღეს—ქორწინებას.

იხარეთ, იმრავლეთ, იბედნიერეთ!

**მადონა, ირინე კოპალიანები, ნუნუ, მურად ხაბულიანები.**

## გილოცავთ

**ლალი იაკობის ასულ სვანიძეს**
**ჯონი გიგას ძე ნემსწვერიძეს**

გილოცავთ ბიჭის შეძენას. ძეობა, მზეობა, მხნეობა არ მოგეშალოთ. ერისკაცი აღზრდილიყოს.

**ლელა, კახა სილაგაძეები.**

---

**გულო და ზაურ ცვარიანებს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაგზრდოდეთ სასახელო ვაჟკაცი.

**ჟუჟუნა შკუბულიანი, ნატო ბენიძე, ნაზი კოპალიანი, ნაირა ქარსელაძე, ვენერა დავითულიანი.**

---

**მარი, ამირან ახვლედიანებს**

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი იყოს მისი მფარველი.

**ლასურიაშის საშუალო სკოლის X-XI კლასელები.**

---

**ჯენი, ვალერი ახვლედიანებს**

გილოცავთ შვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი. ძეობა, მზეობა ნუ მოგკლებოდეთ.

**ნინო, გია კოპალიანები.**

---

დედა დარეჯანი, მეუღლე რუსუდანი, შვილები დარეჯანი, ელდარი, და მზია, ძმები ამირანი, ზვიადი, რძლები ნაილი სილაგაძე, მედიკო კოვზაძე, სიძე ოლევ ქორქოლიანი, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**როინ (დათო) ჟორას ძე ონიანი.**

დაკრძალვა 28 აპრილს, კვირას სოფ. ლაცორიაში.

---

ანზორ ლეთოდიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**დომნა ხეცურიანი.**

---

გულადი, იური ხეცურიანები, შოთა ჯაფარიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დომნა ხეცურიანი.**

---

ანზორ მუშკუდიანი ოჯახით თანაუგრძნობს აბესალომ ახვლედიანის ოჯახს

**თამარ ჩიქოვანის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის სამუსიკო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ინეზა მოლოდინაშვილს მამიდის

**მერი მოლოდინაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

რაისაავადმყოფოს კლინიკო-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნაზიკო და გიზო ახვლედიანებს დედის

**ლუბას**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები მტრედო, ნათელა, ია-ზე, მანანა, მარინე, სიძეები ვაჟა გუგუშვილი [illegible] შვილიშვილები [illegible] ლაშა, [illegible] ოლია, ბაბუცა, ძმები მიშა, ლადო, პეტრე, რძლები შურა, კლარა, ჯულიეტა, მამიდები, ბიძები, დისშვილები, ძმისშვილები, მულისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დომნა კონსტანტინეს ასული ბენიძე-ხეცურიანი.**

დაკრძალვა 2 მაისს, ხუთშაბათს, სოფ. ლუხვანოში.

---

შალიკო ონიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**როინ (დათო) ჟორას ძე ონიანი.**

---

უახლოესი ნათესავები შოთა, ნუგზარ, ლევან, ნარგიზა ონიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**როინ (დათო) ჟორას ძე ონიანი.**

---

ცაგერის რაისაავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნაზიკო, მარინე ახვლედიანებს დედამთილის და ბებიის

**ლუბა ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

და ლილი, დისშვილები ლელა, ნაირა, ლედი, მარინე ჰოხონელიძეები, სიძეები გელა გოგიძე, რაინდი ბურჯალიანი, რაულ ჩაჩუა, ავთო კანკავა, დისშვილიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შალიკო ლუკას ძე ზურაბიანი.**

---

ავერიონ ამბროლიანი ოჯახით იუწყება

**მიშა ომანაძის**

გარდაცვალებას.

---

მრავალდარგობრივი კომუნალური მეურნეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მურთაზ ამბროლიანს ბიძის

**მიშა ომანაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ჯანიკო ლეთოდიანი, ჯუმბერ ბენდელიანი, კოლია ფუტკარაძე, ჯონი ხმელიძე, გიზო კალანდაძე, როლანდ, ივანე სილაგაძეები, ელიმუქ, გივი ახვლედიანები, დალოსტი სვანიძე, მერაბ ბურჯალიანი, ჯუმბერ სალინაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ნაზიკო და გიზო ახვლედიანებს დედამთილის და დედის

**ლუბა მუშკუდიანი-ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ვალიკო მახარობლიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**მალხაზ ვაჟას ძე მახარობლიძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

უახლოესი ნათესავები ბეგლარ, რუბენ, რეზო ნემსწვერიძეები, ჯიმშერ კოპალიანი, გერონტი ქომეთიანი, სოზარ იმნაძე, ტარიელ ირემაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დომნა კოსტანტინეს ასული ხეცურიანი.**

„ლეჩხუმი“ გამოდის
- სამშაბათს
- ხუთშაბათს
- შაბათს

ჩვენი მისამართი: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველი ქ. №56 ტელეფონები: რედაქტორის — 22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელ მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების — 22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების —22-41, სტამბის დირექტორის— 22-17, საამწყობო საამქროს —22-28

შეკვეთა № 41 ტირაჟი 4800

რედაქტორი
ნოდარ ნემსაძე

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა